



საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი ზაფხუთი გამოსვლის ყოველ კვირა დღეს

№ 26

ი 3 6 ი ს ი 2 5 1 9 0 0

№ 26

კახეთის ფანი: ერთი წლით გაუგზავნა. 7 მან., გვგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზავნა. 3 მან. 50 კაპ., გვგზავნით 4 მან. წინა თვით გაუგზავნა. 2 მან., გვგზავნით 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი 1 მან. შეღებულ.

სელას-მოწერა მადაგას: თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კონკულარიაში“ (Дворцова, 1. Взм. башка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტიკლურის ქუჩა, № 5. ფოსტის აღმოსავლეთი: Тифлис. Редакция „КВЛ“.

შინაარსი: პრესა ნ. კორდანიასი.— სხვა-და-სხვა ამბები.— „კვალის“ კორესპონდენტები.— ჩინეთის ამბები.— საღამო ქალაქში, ლექსი ი. ევლანდელისა.— საარაკო ანბავი ადამი ადნა შეილისა.— წერილი ქუთაისიდან კრტიკასი.— სტუცესთან ბრძოლის შესახებ ი. გ.— რისა.— მკითვ შენაშენა კიათუიდან.— შედარაოვთა განჩინება და განცხადებები.

„კვალის“ რედაქცია უმოწინააღმდეგოა თხოვნას თვის სელას-მოწერაზე, ვისაც ფულადი სრულად ან შე-მოკლებული. დასაქარონ ფულას გამოგზავნა 1-ლ ავ-ლისამდე. წინააღმდეგ შექმთხვევაში კახეთი მოე-სნობათ 1-ლ ავლისა.

პ რ ე ს ა

IX

სახლა პრესა.

დამ ნაირათ, ჩვენ განვიხილეთ ქართული პრესის მოთავსი მიმდინარეობა დღიდან მისი დაარსებისა და აღმოვაჩინეთ შემდეგი: პირველ ხანაში ის არის პირდაპირი, უშიშარი და მებრძოლი. მეორე ხანაში ის ჰკარგავს ყველა ამ თვისებას და ხდება პირმოთნე, მოშიშარი და გულჩახვეული. პირველი მიმდინარეობა არის მიმდინარეობა ახალ-გაზრდა, სიცოცხლით და ძალ-ღონით საყუე, ამი-

სათვის მისი სიტყვა მჭრელი, რიხიანი და მძღაღრი; მეორე არის მიმდინარეობა მოხუცებულთა, ცოცხალ-მეცდარი და დახვედებული, ამისათვის მისი სიტყვეც ჩლუნგი, გაუბედავი და უძღორია. ის ხვდება სულს და გულს, აფიქრებს და აფარჯიშებს კვე-გონებას, აღზიზღებს და ამოძრავებს აღამიანს; ეს კი, პირიქით; აცარიელებს სულს და გულს, ამინებს და ახანტებს კვე-გონებას, ბორკავს და ატყვევებს აღამიანს. პირველს მეთათურობს „ღროება“, მეორეს „ივერია“.

მეფობა „ღროების“ არის მეფობა პროგრესის; მეფობა „ივერიის“ არის მეფობა რეაქციის. როგორც ხშირათ მზიან დღეს ბურჟუანი დღე მოჰყვება და შავი ღრუბლები არე მარეს ბნელი ზე-წარივით გადაფეარება, სწორეთ ისე ნათელ და სხივიან „ღროების“ ბნელით მოკული „ივერია“ მოჰყვა და ქართული აზროვნება ერთიანთ დააბნელა. „ივერიაში“ უარჰყო პრესის ის იდეალი, რომელიც „ღროებამ“ შეიღმუშავა და მით უარჰყო საზოგადოთ თანამედროვე ევროპიული პრესა, „ივერიაში“ ძირიანთ ამოაგლო ის ზეგობოვი და

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო

ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც „დროებამ“ დათესა და მათ ძირიანათ ამოავლო საზოგადოთ ლიტერატურული პირუთვნელობა. კრიტიკა, ახალი გზა-ვალის ძიება და ძველის, აწ გამოუდგარი, ურთიერთობის დატოვება მომავლდინებელ კოდეით ჩაითვალა. აზრი ცოცხალი და დროს შესაფერი მწერლობიდან განიდევნა, აზრი მკვლარი და დრო-გადასული მწერლობაში გაბატონდა. ეს კიდევ ცოცხალია, „ივერიამ“ დასცა საზოგადოთ ქართული სიტყვის მნიშვნელობა ჩვენში; ქართულ მწერლობას აღარავითარი გავლენა არ აქვს, მისი სიტყვა აღარავის ყურადღებას არ იპყრობს, ის აღარავისთვის საინტერესო არ არის. რისთვის? იმისთვის რომ „ივერიამ“; ამ ქართულ ყოველ-დღიური პრესის მონაპოვლისტმა, თვითონვე დასცა დროში ქართული პრესის; ის არც ერთ სამედროვო კითხვებს ყურადღებას არ აქცევს. ქართული ხალხის სულას კვეთების უპასუხოთ ტოვებდა; ის აზრის გამოთქმას უფროსის და ერთდებდა. ამა რა გავითია ის, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ათიოდე მოწონავე წყრილსაც ვერ მოგვეცემს რაიმე საჭირო-ბოროტო საგანზე? და აი, ასეთია „ივერია“, ეს ქართული პრესის წარმომადგენელი და რაღა ვასაკვირვებოდა, ასეთ პრესის ძალა და მნიშვნელობა არ ჰქონდეს. რაკი პრესა თავის ღირსებას ვერ იცავს, თავის-თავს პატივს არ სცემს, თავის თვის ვერ ცნობს, ცხადია, მას აღარც საზოგადოება უნდა აფასებდეს და ცხოვრების ღამურათ ცნობდეს. ამისათვის, ქართველი საზოგადოება გადაეჩეია ქართულ მწერლობას, ქართულ ჟურნალ-გაზეთობას; ამისათვის ქართული სიტყვიერება ასე ჩამოქვეითდა და ბურთი და მოედანი დაჩრახ სხვებს, „ივერიამ“ თავისი უძრავობით, თავისი ნიჰილიტით! ვერავითარი მოკიდობა ვერგაუწია სხვა აქაურ გაზეთებს; პირიქით, ის შეიქნა ამათი კული და ზურგს უკან მიმყოლი. ამით მან ქართული სიტყვის ნიადაგი, რომელიც მოამზადა „დროებამ“, მთლათ ერთიანათ შემუსრა და მის ალაგას ხეჩატურთვების ნიადაგი მოამზადა. მან ვერავითარი საქმეში, ვერავითარი აზროვნებაში მოთავაობა ვერ გამოიჩინა; ამის ის

ყოველთვის სხვა გაზეთებს უთმობდა და ასე ქართველობა ქართულ პრესას დააშორა, ერთი სიტყვით, „ივერიამ“ არა თუ გონებრივი და მოქალაქობრივი გზა ავიბნინა, არამედ საზოგადოთ ქართულ პრესასაც გადაეგვიჩეია, ქართული ბეჭდვითი სიტყვა დააუძლირა და ნიადაგი დაუქარჯა. და ეს მან მოიმოქმედა 1886—1892 წ.წ., როგორც ერთათ ერთი ქართული ორგანო, და ამასვე მუშაობს დღეს, როგორც ერთათ ერთი ქართული ყოველ-დღიური გაზეთი. დრო არის ამ გარემოებას ჩაუფიქრდენ და ქართული პრესა ამ სირცხვილის და დამცირებისაგან იხსნან.

ასეა თუ ისე, დღეს ჩვენ მწერლობაში „ივერიის“ წინამძღოლებათ ყოველ-მხრივი რეაქცია, რეაქცია აზრის, წესობის, მოქალაქეობის, ქართული სიტყვიერების. ქართული სიტყვა სუსტი, აზრი ძველი, წეგობა მახინჯი, მოქალაქეობა სულ არა—აი თვისება „გაივერიელბული“ პრესის. საჭიროა ქართულმა სიტყვამ მოიპოვოს შესაფერი გავლენა, საჭიროა აზრი განახლდეს, წეგობა ამაღლდეს, მოქალაქეობა აღორძინდეს. და ყველა ეს უნდა მოიმოქმედოს ახალმა პრესამ, პრესამ თანამედროვემ და დროს შესაფერმა.

რაში მდგომარეობს ეს ახალი პრესა? რა და მახასიათებელ თვისებებს შეიცავს ის? საღ აქვს მას ნიადაგი და როგორ უნდა მოიპოვოს მომავალი?

ახალი პრესა პირველ ყოვლისა ნიშნავს ახალი ცხოვრების ხელმძღვანელობას. ხოლო ახალი ცხოვრების ხელმძღვანელობა ნიშნავს ამ ცხოვრების ახსნას, გარკვევას და გათვალისწინებას. მაშასადამე, ახალი პრესის საფუძველი უნდა იყოს ახალი აზრობი. პრესა, რომელიც შეიგნებს თავის დროის მოთხოვნილებებს და მის მეთაურობას შეუღლებდა, არის თანამედროვე ანუ ახალი პრესა. აშკარაა, პირველი თვისება განახლებული პრესის არის მისი თანამედროვეობა.

პრესა, რომელიც ლაბარაკობს მხოლოთ ძველ და დრო გადასულ საგნებზე, აღარავის სულს და გულს არ ეკავრება, აღარავის არ ამოქმედებს და გზას ცხოვრებისას არ უკავფავს. ასეთი პრესა არის ძველი პრესა. ასეთია ამ ჟამათ „ივერია“; ასეთი არ იყო თავის დროზე „დროება“. „დროების“ მთავარი ღირსება იყო ის, რომ თავის დროის მოწინავე აზრება ჰქონდა შეთვისებული და ამას ქადაგებდა. ის დრო იყო დრო ბატონ-ყმობის ურთიერთობის დარღვევისა და მაშინდელი ახალი აზრის უცნობის გამოსარჩლებას და გლახ-კაცობის დახმარებას შეიცავდა. „დროება“ არ ღალატობდა ამას, მის დროს „შაზე ეწერა: დაცვა დაჩაგრულთა (გლახთა) და მწავრვლთა წინააღმდეგ (მებატონეთა). ეს არის მისი

1) სიხანტე „ივერიისა“ საარაკოა. ყველა ყოველ-დღიური გაზეთი ახალ ამბებთან და ჩაირი კორესპონდენციებთან ხელმძღვანელობს. „ივერიას“ კი მულამ აკლია ეს, ის აქაურ რუსულ გაზეთებიდან გამომდებლს საინტერესო ცნობებს და შორსა და გათავდა. ამა რომელი გიყი მიი-სურებს „ივერიაში“ წაიკითხოს ის, რასაც ერთი და ორი დღის წინეთ მაგ. „ოფილისის ღურცელში“ წაიკითხავს. ასე ვაშინჯეთ, ტულეგრაფებსაც კი ვერ აწვდის მკითხველთ იმ დღეს, რა დღესაც ყველა დანარჩენი გაზეთები ბეჭდავენ. (მაგ. იხ. ზუთშაბათის ნომერი № 183).

ძლიერი მხარე და ეს ტრადიცია დათესა მან. ასე რომ პირველი ქართული გაზეთი იყო გაზეთი დემოკრატიული, რაიცა შემდეგ უარყო „ივერიამ“ და მით დაარღვია ტრადიცია ქართული პრესის. ეს ტრადიცია უნდა იქნას აღდგენილი ახალი პრესის მიერ და მით წარსულს და აწმყოს შორის გაწყვეტილი ძაფი ხელ-ახლა გაისკვას. ამ მხრით, ახალი პრესა იქნება გავრძელება „დროების“. ერთი სიტყვით, ახალი პრესა უნდა დაუეკავროდეს წარსულ პრესას, მან უნდა შეითვისოს ჩვენი გამოცემათა საუკეთესო თვისებები, მან უნდა მოახლოს თავის სათავე სამშობლო მწერლობაში და აი მასის წარსულის ნამდვილი შვილი იქნება, აწმყოს ნამდვილი მატარებელი და მომავლის მქონეელი. და აი ასეთი სათავე ახალი პრესისათვის არის „დროება“. ღირსება „დროების“ უნდა იქნას შესისხლხორცეული, ნაკლულევანება დროების უარყოფილი და ასე ის დღევანდელ პრესაში გამოტანილი. „დროების“ ღირსება, როგორც ვთქვი, მდგომარეობდა მის პირდაპირობაში, მის დემოკრატიულ მიმართულებაში და ჩვენი ცხოვრების პირობებზე მხილებაში. ეს არის მის მიერ გადმოცემული ანდერძი და ყველა პროგრესიულმა ორგანომ თავის წმიდა-წმიდათ ეს ანდერძი უნდა დასახოს. რაც შეეხება ნაკლულევანებას—ამას თვითონ „დროება“ გვაძენს შემდეგი სიტყვებით: „ყველაზე უფრო რაც დღევანდის ქართულ ენაზე გამოსულა და გამოდის, იბეჭდება იმ ერთ მუჟს თაყა-დ-ხსუნობასათვის, რომელიც ჩვენ მკათხველ საზოგადოებას შეადგენს“. მართალია თავად-აზნაურობისათვის გუნდრუკი არც ერთს არ უქმეია, მაგრამ „უეჭველია ის რომ ამ გარემოებას ღიღი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის შამარულუაბაჲ“. (1875 წ. № 93). აი რა მთავარი ნაკლულევანება ჰქონებია მაშინდელ პრესას. და მართლაც, მესამოცდაათე წლების ცხოვრება იმოდენათ ჩვილი და განუვითარებელი იყო, რომ მკათხველ საზოგადოებას მხოლოდ მოწინავე წოდების უმაღლესი ნაწილი და მისი საშოდან გამოსული ინტელიგენცია შეადგენდა. მაშასადამე, პრესა იძულებული იყო დემოკრატიული აზრები ექადაგა არა ხალხის, დემოკრატიისთვის, არამედ ამ „ერთი მუჟა“ თავად-აზნაურობის, არისტოკრატიისთვის. ის თავის იდეებს ვერ აგებებდა იმათ, ვისაც ის ეხებოდა, ის ვერ ელაპარაკებოდა იმათ, ვისთანაც ლაპარაკი სურდა. აშკარაა, პრესის იდეალურ მიმართულებას რეალური ნიადაგი არ ჰქონებია. და ეს უწინადაცა იყო შედგვი ჩვენი ცხოვრების განუვითარებლობის. რა უნდა იქნას ასეთ პირობებში „დროებას“? ის ხომ ვერ შექმნიდა იმას, რაც ცხოვრებამ არ შექმნა?

ის ხომ ვერ გამოიგონებდა არ არსებულ რეალობას? ის იძულებული გახდა ემოქმედნა უეჭველ-არსებულ სარბიელზე და აქ თავისი მოწინავე შეხედულობები ეთესა. აზრი, მოწინავე, ნიადაგი კი უკან ჩამორჩენილი! პრესა ახალი, მკათხველი კი ძველი! აი მთელი ტრაგიკიზმი იდეალისტური მწერლობისა საზოგადოათ და „დროებისა“ კერძოთ. ეს უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი „საქართველოს მოამბის“ დაცემის და ამანვე დაატანა ძალი „დროებას“ „ივერიას“ შეერთებოდა და მით უკან დაეხია. „ივერიას“, მართალია ნიქიერი პუბლიცისტები არ ჰყოლია, მაგრამ სამავიგროთ თავისი მიმართულებით „დროებაზე“ უფრო რეალურ ნიადაგზე დადგა. მან დანიხა ის რაც დანიხა „დროებას“—თავად-აზნაურული მკათხველი საზოგადოება—და უცებ მოაბრუნა პრესის ბორბალი. მან თქვა: თუკი ჩვენი ნიადაგი თავად-აზნაურობაა, აზროვნებაც თავად-აზნაურული უნდა გვეკადესო და ის იყო, „საქართველოს მოამბის“ და „დროების“ დემოკრატიული „გატაცებანი“ უარყო და შეუდგა მოწინავე წოდების გულის მოგებას. ამ გზაზე სასიარულოთ მოიხზრო მან „დროება“ და ამასვე აღვია დღემდის. მან უარყო „დროების“ იდეალისტური მიმართულება, სამავიგროთ ჩაებლაუკა მის მკათხველთა საზოგადოებას. და ასე ეს ორივე ორგანო, ერთი პროგრესიული და მეორე კონსერვატიული, ღვება ერთ და იმავე ნიადაგზე, ესაუბრება ერთ და იმავე მკათხველებს. როგორც მუშტარი, ისეთი საქონელი—ი დევიზი „ქვიანი“ ვაჟარის. და სწორეთ ეს მცენება ამხილდა სახელმძღვანელოთ „ივერიამ“. „დროება“ ვაჟარბა: მუშტარი კარგი არ გვეყავს და ჩვენ უნდა ვავაჟარგოთო. „ივერიამ“ თქვა: რა საქონია ასეთი თავის ხეთქა, ვკითხოთ მუშტარს, რა სურს მას, რა გემოვნებისაა და ჩვენც ისეთი საქონელი მივაწოდოთო. აი პრაქტიკული მოსაზრება, აი „ქვიანი“ ვაჟარი. და რადგანაც პრესის მუშტარი იყო თავად-აზნაურობა, და ისიც „ერთი მუჟა“ (ე. ი. მაღალი თავად-აზნაურობა) ცხადია „ივერიამ“ ამ თავდაზნაურობის ინტერესების დამცველოთ უნდა გამოსულიყო. მოწინავე წოდებას აქვს ბანკი, მაშასადამე „ივერიას“, უნდა ეთქვა: აი ნამდვილი საერო საქმეო; თავად-აზნაურობას და გლხებს შორის ინტერესთა წინააღმდეგობაა, მაშასადამე „ივერიას“ უნდა ეთქვა: ეს წინააღმდეგობა „ნამუს“ ახლილი კაცების მოგონებაა, მათ შორის ვანსხვევება მხოლოდ „მოკითხვის წაგნში“ არისო; თავად-აზნაურობა სოფელშია და მეურნეობით ცხოვრობს; მაშასადამე „ივერიას“ უნდა ეთქვა: ბურჯი ჩვენი ერისა სოფელი და მეურნეობაა, წადით ყვე-

ლა სოფლათა და ასე ბოლომდის. ერთი სიტყვით, თავდაზნაურულ ნიადაგზე დამდგარი „ივერია“ სულ მითლათ ერთიანთ ემორჩილება ამ ნიადაგს და ის საქვეყნო, საერო ნიადაგათ გამოაქვს. „დროება“ მკაცრდინებდა ამ ნიადაგის გარდაქმნას, გადასხვაფერებას თანახმით თავისი დემოკრატიული შესვლულებებისა და თუ მიინცილდ ხანს დამავრდა და გველენაც მოიპოვა—ეს მაშინდელი დროის საზოგადო მოძრაობას და „დროების“ ხელმძღვანელთა პირად ენერგიას უნდა მიეწეროს. მაგრამ როგორც კი „დროება“ მოისპო და „ივერიას“ დაჩა პრესის მონოპოლია—მაშინ ეს ვითომ და „დროებაზე“ აღზრდილი საზოგადოება „ივერიას“ სიამოვნებით ეწაფება. გამოჩნდა რომ, ეს ორგანო უფრო უახლოვედა ამ ხალხს; კონსერვატულმა მკითხველმა როგორც იყო მიაგნო თავის ორგანოს და ხელიხელ ჩაკიდებული მოედანზე გამოვიდა. იდეალიზმი „დროების“ მოისპო, რეალიზმი „ივერიის“ გამეფდა.

ეს ცვლილება, რასაკვირველია, წარმოებდა ნელ-ნელა. და ამიტომ ვერც „ივერიელნი“ და ვერც საზოგადოება ამას სასებით ვერ ამჩნევდენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, „ივერიას“ თავისი ვიწრო მიმართულება ძალიან ფართო მიმართულება ეგონა, მაგრამ საქმე ამ მის „ეგონაში“ კი არ არის, არამედ საქმე სინამდვილეშია. და იმ ეს სინამდვილე ჩანს დღეს ასე ნათლათ და აშკარათ. არავის არა ჰგონია თავის თავისე, როგორც არის, ყოველთვის გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ, და ამიტომ თავის თავის დაფასება და გარჩევა ასე ძნელია...

ამ გვართ, ქართულმა პრესამ განიცადა შემდეგი ცვლილება: პირველათ ის იყო პროგრესიული თავისი მისწრაფებით, კონსერვატიული თავისი ნიადაგით („დროება“); შემდეგ ის გახდა მისწრაფებით კონსერვატიული და კონსერვატიული ნიადაგითა („ივერია“). აღორძინებას მოჰყვა დაცემა, წინმსვლელობას უკან ჩამორჩენა. და იმ ახლა ვდგევართ ჩვენ პრესის მესამე ხანის საზღვართან და რამდენიმეთ კიდევაც ჩავბიჯეთ ფეხი... ეს ხანა არის ხანა ხელახლათ აღორძინების და განახლების.

ამ ახალმა პრესამ რა უნდა მიიღოს „დროება“—„ივერიიდან“ და რა უარჰყოს? მან უნდა მიიღოს უმკველათ „დროების“ პროგრესიული მისწრაფება და უარჰყოს მისი კონსერვატიული ნიადაგი. მაგრამ მიიღება „დროების“ მისწრაფების სრულებით არ მოასწავებს მიღებას ამ მისწრაფების შინაარსისას, ვინაიდან შინაარსი დამოკიდებულია არსებულ ცხოვრების ურთიერ-

ობაზე, ხოლო ეს ურთიერთობა მაშინ სული სხვა იყო და ახლა კი სხვაა, რამდენათ ^{1919 წლის} „დროების“ ლტოლილება პროგრესიული იყო თავის დროისათვის, მდენათ ახალი პრესის ლტოლილება უნდა იყოს პროგრესიული ახალი დროისათვის. აი აქ არის მზავსება ამ ორი ხანის პრესას შორის. მაშასადამე, „დროება“ გვიანდერბა სახელმძღვანელოთ მისი ფორმალური თვისებები, როგორც მაგ. პირდაპირობა, პირუთუნელობა, კრიტიკა, დინამიკულობა გამოსარჩობა და სხ. ხოლო ამ ფორმაში უნდა გამოვიხროთ დღევანდელი დღის შესაფერი აზრები და შინაარსი. ე. ი. ფორმა ძველი, შინაარსი ახალი. იმ ახალი პრესის გზა და ხიდი. ეს არის ახალი პრესის იდეალისტური მხარე.

რა უნდა მივიღო „ივერიიდან“? „ივერიამ“ თავისი მავალითთ ვგასწავლა ერთი რამ, სახელდობრ, ყოველივე იღებს თავისი შესაფერი რეალური ნიადაგი უნდა ჰქონდესო. ის გაძლიერდა სწორეთ იმიტომ, რომ ასეთი ნიადაგი მოწახა და ზედ აღმართა თავისი ციხე-სიმაგრე. მაშასადამე, ახალმა პრესამაც შესაფერი ნიადაგი უნდა მოწახოს და ზედ აავოს თავისი ციხე-სიმაგრე. ეს ნიადაგი ვერ იქნება ნიადაგი „ივერიის“, ვინაიდან ის ცრთიანთ ვიწრო და ჩვენი ერის უკან დამწყვეთია. იმ ვერ იქნება ნიადაგი „დროების“, ვინაიდან ის არაფრათ განსხვავდება „ივერიის“ ნიადაგისაგან. ერთი სიტყვით, ნიადაგი ახალი პრესის ვერ იქნება ვერც ის „ერთი მუქა“ თავდაზნაურობა და ვერც სხვა რომელიმე ძველებური წოდება. ახ უნდა მოიწახოს ჩვენი ერის ახალ მიმდინარეობაში.

რას შეიცავს ეს მიმდინარეობა? ის შეიცავს ერთიანთ სამოქალაქო მიმდინარეობას. ქართველობა უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში სწრაფათ ჩაება თანამედროვე მოქალაქეობაში მრავლ დრო მიღის, მით უფრო ის მავრდება ამ გზაზე. და რადგანაც ბურჟი ახლანდელი ცხოვრების მოქალაქეობაა, ამისათვის გაქალაქებული საქართველო ბურჟია ჩვენი მერმისის. ამ სახით, თვით ცხოვრებამ დაჰყო ქართველობა ორ დიდ ნაწილათ: მოწინავე ე. ი. მოქალაქეობის გზაზე გამოსული, და უკან ჩამორჩენილი ე. ი. ჯერ კიდევ პატრიარქალურ პირობებში ჩარჩენილი. პირველი არიან ჩვენი ერის ახალი ხალხი და ახალი პრესაც აქ უნდა ემობდეს თავის ნიადაგს.

ვისგან შედგება ეს ახალი ხალხი? აქ პირველ ყოვლისა წოდებები არიან; დანაწილება წარმოებს თანახმით ხელობისა და არა თანახმით შთამომავლობისა. გუშინდელი ნაყმევი და ნაბატონარი თუ კი დღეს

ერთი ხელშეწყობით ცხოვრებენ, ერთ პარობებში არსებობენ, ერთ რაზმს, ერთ საზოგადოებას შეადგენენ. აქ უნდა იკითხოთ არა გლეხი ხარ თუ აზნაურია, არამედ რა ხელობის და შეძლების ხარო. ეს არის შეურყეველი საძირკველი ფერაკი პოლი მოქალაქეობაა. აზნაურია. ჩვენ ვერ შევიკნებთ მომხრეთ რომელიმე წინანდელი წოდების და მამასადამე ვერც მოწინააღმდეგე.¹⁾ გლეხობა, რომელსაც ასე გულმხურვალეთ ესარჩლებოდა „დროება“, თავადაზნაურობა, რომელსაც ასე ესარჩლება „იერია“, დღეს შეურყეველ და კარჩაკეტილ წოდებებს აღარ წარმოადგენენ. იმათ უკვე მოგვცეს მოქალაქეობის ელემენტები; ამ ელემენტების გადაადლებით და შეერთება-დანაწილებით მუშავდება ჩვენი მერმისი. რაკი ეს ახალი ელემენტები ამზადებენ ჩვენ მერმისს, ცხადია პრესა, რომელიც აქ ეძებს ნიადაგს; არის პრესა მერმისის. ერთი სიტყვით, ქართველობის ის ნაწილი, რომელიც სამოქალაქო ასპარეზზეა გამოსული და ილტვის თანამედროვე საშუალებებით (განათლება, აღმ-მიცემობა, ხელოსნობა, შავი-მუშაობა და სხ. და სხ.) თავი იჩინოს, არის ახალი ქართველობა და ახალი მწერლობაც მათი მიდრეკილების გამოხატველი უნდა იყოს. ის პირობები, რომლებშიც ამათ უხდებოდა მოღვაწეობა ძალიან რთული და დახარბიულია; ამისათვის ამ პირობების შეგნება და გათავისუფლება მისცემს მათ უძლიერეს იარაღს არსებობისათვის ბრძოლისას. და მერწმუნეთ, მწერლობის უმაღლესი დანიშნულება არა არის რა გარდა იმისა, რომ ხალხს არსებობისათვის ბრძოლა გაუადვილოს და მით ის კულტურულით აღმაძღვლოს. თავისთავათ ცხადია, რომ ამ ახალი ქართველობის დღე-

უმრავლესობა სუსტია შეძლებით და შეუწყობილია გონებით (მუშა, ხელოსანი და სხვა წერილი შეძლების პატრონნი). იმის როგორც ეს ახლათ აღორძინებულს შეფერის, ჯერ კიდევ დღით შრომა და მეცადინეობა ეტრეება, რომ შეიქნეს დღევანდელი ვითარების გაგებელი უილი. ის ამ გზაზე უკვე შედგა და მარდათ მიექანება. საქირაო მხოლოდ მეთაურობა და ალაგს გაფრთხილება, რომ სადმე არ ჩაიხეხოს. ასეთი მეთაურობა უნდა იტვირთოს ახალმა პრესამ. პრესის მოვალეობაა ამ მიმავალ ქარავანს გზა გაუთავოს, ყოველივე დამპირკოლებური ზღუდეებით დაუფეროს და თავისუფალი სამოძრაო კალაპოტის მოპოებაში დაეხმაროს...

მაშასადამე, ჩვენი ერის მოწინავე ხალხის თანდათან განვითარება, გაცნობიერება, დაბალი საფეხურიდან მაღლა ამოყვანა და შეგნებულ რაზმით გადაქცევა—აი რას უნდა ელტვოდეს მწერლობა, იმისი დროა. ეს ერთიანად დემოკრატიის მოძრაობაა და მისი წინამძღოლი პრესაც დემოკრატიულია.

ამ სახით, ახალი პრესის ერთად ერთი მიზანია, ხელმძღვანელობა გაუწიოს ჩვენ მოქალაქობრივ განვითარებას, დაეხმაროს ხალხს და ამ განვითარებაში შეგნებული მოწინავეობა მიიღოს. ეს არის მისი რეალური ნიადაგი. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია კრიტიკა პირუთენელი, აზრი ახალი, სატყუა მკრეფა. ეს არის მისი იდეური ლტოლვილება.

მხოლოდ ძველი ქვეყნის კრიტიკით შეძლება ახალი ქვეყნის დამყარება, მხოლოდ ძველი აზრის დარღვევით შეიძლება ახალი აზრის გამეფება და ამ წერილების საგანიც მხოლოდ ეს არის და არა სხვა რამე. ჩვენ ნათელ ვყავთ ის საოცარი გონებრივი დაცემა, რომელიც „დროების“ მოსპობას და „იერიის“ გამძლეობებს მოჰყვა. ამისათვის ახალი პრესა, ითვისებს რა „დროების“ პროგრესული ელემენტებს, ძირიანათ ეწინააღმდეგება „იერიის“ ყველა ელემენტებს. ეს ორგანო არც მიმართულებით და არც ნიადაგით ჩვენი დროის პროგრესულ მიმდინარეობას არ შეესაბამება და ამიტომ ჩვენი დროის მოწინავე მოღვაწე მოვალეობას შეგრიძოლოს. და როცა ის ძლიერ იქნება, როცა საზოგადო აზროვნება განახლდება, მაშინ ჩვენ ერთიანად ჩავდებთ ქართული პრესის მესამე ხანაში—ხანა ხელ-ახალი აღორძინების და პროგრესის...

გაუთავად. ჩვენ კარგათ ვიცით თუ რა როლი ვიკისრებთ ამ წერილების გამოქვეყნებით. ვიცით ისიც თუ რა მოუფერებელი და შეუბრალებელი ვიყავით ზოგ მოღვაწეთა მიმართ. მაგრამ ყველა ამაში ხელმძღვანელობით მხოლოდ სიმართლით

¹⁾ ბუკრისადამ გამიგონია, რომ ვითომ წინააღმდეგი ვიყო თავადაზნაურობის. ეს ერთიანად ტყუილია, ეს სრულდებით არ ეკადება ჩემ შეხედულებას ცხოვრებაზე. თავადაზნაურობაში მე არ ვხედავ ერთ მიულს, შეძლებით და მდგომარეობით განყოფილებს. ამ წოდების ცხრა-მეთათვი უკვე შეება ახალი ცხოვრების უღელს და შრომობს ისე, როგორც ერის დანარჩენი ნაწილი. და განა ამის წინააღმდეგ შეიძლება ვიყო? პირ-იეთი, მე სწორეთ მისს მომხრე ვარ და თუ წინააღმდეგ ვიარ—ეს მხოლოდ თავადაზნაურობის დანარჩენი ერთი მკაულის, ე.ი. იმ ერთი მუქის რომელიც თავს დასწოლია მისივე წოდების ცხრა-მეთათვს და სიახლევსაც არ იკარებს. ქუთაისის თავადაზნაურთა წლებანდელ კრებაზე ხმა მაღლა აღიარეს, რომ წერილი თავადაზნაურთა არ შეგეშუათ ჩვენს კრებებში, თვარა „გაფრთხილია“! აი ამ ბატონების წინააღმდეგი დიახაც ვარ და ვიქნები და, როცა ვამბობთ „იერია“ თავადაზნაურობას ესარჩობა თქვა, ეს არ ნიშნავს—ის ვითომ მიველ თავ-აზნ. ესარჩლებოდეს, არამედ მხოლოდ მის ამ უმცირეს და უმაღლეს ნაწილს. ხოლო უმრავლესობას ხალხიან უფრო მეტი კავშირი აქვს ვინემ „დღივ გვარების“ რჯანებთან.

გამოქვეყნდა

და სამშობლოს ღრმა საყვარელი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა ღრმად ცვლილებას, ის დიდ განსაცდელშია და ეს გარემოება სრულიად შეუგნებელია. აი ამ შეუგნებლობის მოსპობა, ამ ბურუსის გაფანტვა არის ერთადერთი მიზანი ამ წერილებისა. და სწორედ ამიტომ ისე სასტიკად მოვეყვარე იმთ ვისი წყალობითაც ეს ბურუსი ჩვენ შეგნებას გადაფარა. ჩვენ ვებრძვით იმთ არა როგორც კერძო პირთ, არამედ როგორც განსაზღვრული აზროვნების მატარებელი. ჩვენ მთ აზრთან გვაქვს საქმე და არა მთ პიროვნებასთან. შეიძლება მოღვაწეს პირადად დიდ პატივსაც ვცემდე, მაგრამ მის მოღვაწეობას არ თანავუგრძნობდე. ყველაზე მეტად ამ წერილებში შეგვხვთ თ. ი. ჭავჭავაძეს და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მეთაური იმ მოძრაობის, რომელსაც ჩვენ რუქვია ვუწოდებთ, ის არის და განა შეიძლება როდესაც მის არ შეგნებოდათ? მაგრამ ჩვენ ენერგიულ პრაქტიკს ვაცხადებთ წინააღმდეგ იმ უსაქმურთა, რომელნიც აქა-იქ ქორაობენ, რომ ვითომ თ. ჭავჭავაძის პიროვნება გვაყვდეს ამოჩემებული და იმას ვებრძოდეთ. ამას იტყვის მხოლოდ ის ვისაც ეს წერილები ან არ წაუკითხავს და თუ წაიკითხა იქიდან სახელების მეტი არაფერი გამოუტანია. ვიმეორებთ, ჩვენ ვებრძვით თ. ი. ჭავჭავაძის მიმართულებას. რამდენადაც ეს მის ზუსტი დისკრიმინაციული მოღვაწეობაში გამოიხატა, და არა მის პიროვნებას. აზრის სხვა-დასხვაობა არ ნიშნავს პირად მტრობას და შურის ძიებას. ჩვენ ეს ასე გვრწამს და დღე სხვებმა როგორც უნდა ისე იწამონ. ჩვენი მსახული ისტორიაა.

6. ჟორდანი.

სხვა-დასხვა ამბები

0-ლი ი. ჭავჭავაძე უკვე გაეზავრა საზღვარგარეთ. პირველად მივა ბერლინში და მერე წყლებზე წავა ვისბადენში. „ივერიის“ დროებით რედაქტორად წარდგენილია ბ. ვ. სულხანიშვილი.

წელს ამიერ-კავკასიის ყველა გიმნაზიებში და რეალურ სასწავლებლებში კურსი დაუსრულებია 70-ზე მეტ ქართველს.

ერთი პეტერბურგელი გაზეით წერს, რომ ჩრდილო კავკასიისკენ დასასახლებლათ წავიდა 400-მდე ქართველი გლეხი. ვინ ან რომელი კუთხიდან არიან ისინი—ეს არ ვიცით. ვასაკვირვებელია რომ ასეთ ამბავს პეტერბურგიდან ვტყუაბულობთ და არა ადგილობრივთ.

გამოქვეყნდა შემდეგი ბრძანება შესახებ საქალაქო სახლებისა: 1) გაუქმებულ იქმნას დამანაშავთა გადასახლება ციხიბრისა და რუსეთის სხვა შორეულ გუბერნიებში, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთათვისაც კანონში განსაკუთრებითი დადგენილებაა. 2) გაუქმებულ იქმნას უფლებება საგლეხო და ქალაქის მკვიდრთა საზოგადოებათა განაჩენის დადგენისა იმის შესახებ, რომ მიიღონ ან არ მიიღონ თვისნი წევრნი, რომელთაც გარდაუხდით სასჯელი სასამართლოს განაჩენით პატიმართა ხასიათის გამსწორებელ განყოფილებაში ან საპატიმროში ყოფილან დამწყვედულნი, ყოველ განსაკუთრებულ პირად და წოდებრივ უფლებათა და უპირატესობათა ჩამორთმევით. განსაკუთრებით გაუქმებულ იქმნას უფლებება ქალაქის მკვიდრთა საზოგადოებათა, რომლის ძალით მთავრობას წარუდგენენ დასასჯელათ ცული ყოფ-ქცევის წევრთ. ამ ნაირთა, როგორც ხედავთ, ციხიბრში გადასახლება შესაძლებელია შემოკლდა და სამეტიერით ადგილობრივთ მოხიბიან დამანაშავნი სასჯელს.

რუსეთში შემდგარა ახალი საქებო საზოგადოება, რომელსაც აზრათა აქვს თურმე კავკასიიდან მცირე აზიაში რკინის გზის ღიანდაგი გაიყვანოს. რკინის გზა ჩრდილო-სპარსეთზე გაივლის. დაიწყება კავკასიის რკინის გზის აჯიკაბულიდან და ჯულფზე გაივლის დიარბეკრისკენ.

კუნდუროვისა და ლაზარევის სპილენძის ჩამოსახსნელ ქარხნებს ზანგეზურის მაზრაში ინგლისელი კაპიტალისტები თურმე ყიდულობენ 1,600,000 მანეთათ.

როგორც საერო განათლების სამინისტროს მიერ შეკრებულ სასტატისტიკო ცნობებიდან ჩანს, ამ საუკუნის განმავლობაში პირველ დაწყებით სასწავლებელთა რიცხვი რუსეთში — 316-დან (1796 წ.) 78,924-დე (1896 წ.) ასულია, ხოლო მასწავლებელთა რიცხვი — 744-დან 113,984-მდე; მოწოდება რიცხვი 17,241-დან 3,801,133-მდე.

20-ს ამ თვეს ერთი შემადწინებელი უბედურება დატრიალდა. ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ კასნისა და ქსანის შუა, მე-25 ნაკვეთზე მუშები ტელეგრაფის ბოძებს ცვლადენ, რამდენიმე მუშა კლდეზე მტკვრის ზინას ერთ ბოძს სცვლიდა, ზრუვლათ ჩაჯდეს მიწაში კლდის თავზე რკინის ბოძი და მის წვერზე მუხის მკერე ბოძი უხდა მიემგვრებათ. მიუუღეს კაბე და ზედა ვიადენ ორი მუშა. სოფელ კარაღაჯის მცხოვრებნი:

კონა ბერიაშვილი და შაქრი ქვერიაშვილი. როდესაც ზე-
მოთა ბოძი მიმარება დაუწყეს ძირისაზე, მასინ ძირის-
ბოძი კვლავ მოეგრას და ორავე საბრალო შუშები მადლი-
დან ძირს ტუფასავთ დაეშენენ. კონა ბერიაშვილი ზირ-
დაზირ ჩამოვირდა და შივ წყალში ჩაყვ, მხოლოთ კადმი-
ვირდის უმაღ ესა შესისხა: „უკანაზე ჩემი ცოლ-შვილო,
უნაბრნობითა რჩებითა“. წყლიდან მკვლარი გამოიტანეს.
მხოლოთ შაქრი ქვერიაშვილი მადლიდან ჯერ კვლავზე
დაეცა, შერე კვლიდან გადავირდა ქვერზე და შემდეგ წყალ-
ში ჩავარდა. ისე სიცოცხავით დაიმტვრა რომ არაფერი
მიიღო აღარ დარჩა. თუმცა მამინეკე საყვარლოთიო მამა
უყვანეს, მკვრამ მისი მოინახეს უოღვად შეუღლებულია.
ბერიაშვილს წერალი ცოლ-შვილი და მოხუცებულნი დედა
დარჩნია შესანახი, მხოლოთ ქვერიაშვილს დედა, ღებო
და ზატარა ძმები.

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „კონსპექტი საქარ-
თის ისტორიიდან“ შედგენილი არ. ქუთათელისძისაგან.
რვეული I. ბოლოში ჩართული აქვს წინასიტყვაობა, საი-
დანაც ვცუბოვლობთ რომ ატორის მიხნით აქვს მოსწავლეებს
ვაკონოს მოკლეთ და ეპიზოდურათ სამომბლო ისტორია.
პირველ წიგნში მოთავსებულთა საყურადღებო ეპოქები ჩვენი
ისტორიიდან დავით აღმაშენებლამდე. შეიცავს 75 გვ. და
ლორს 25 კ.

„კვალის“ კორესპონდენციები

სურამა. მისის უკანასკნელ რიბეგებში მოხდა
სურამის საზოგადოების ურდობა მკვრის — უფროსის
თანაშემწის თან დასწრებით, რომელზედაც უნდა ამოერ-
ჩიათ მამასხლდისი და მისი თანაშემწე. სურამის საზო-
გადოება კარგა მოხდელი საზოგადოებაა, შედგება 8,
სოფლისკან და არა ნაკლებ 1500 კომლისსაგან და აი,
ამოღენ საზოგადოებას უნდა ამოერჩია ერთი კაცი,
რომელსაც უნდა ეტვირთოს ზემოსსენებულ საზოგადოე-
ბის კეთილ დღეობაზე ზრუნვა. როგორც ყოველთვის
აქ წელსაც ხალხი ორ წრეთ გაყოფა, ერთ წრეს შეადგე-
ნდა ქართველები და ებრაელები და მეორე წრეს სამხეობა;
ქართველებს ქართველი უნდოდათ ამოერჩიათ და სომხებს სო-
მხები. გამარჯვებს ზირველებმა და მისი უმეტესობით ამო-
რჩეულ იქნა სოლომონ ჯოაძე და მის თანაშემწეთ ნ. ჯო-
აძე. ახალი მამასხლდისი სრულად ემსწავლი კაცია და
აღსაყვე ჯანით და ღობით, მამასხლდამ ბუგნი საკეთილო
საქმის გაკეთება შეუძლიან თუ კი მოიწადინებს... კარგა
ხანია და. სურამში ერთ კლასიანი საშინისტრო სკოლა
არსებობს, რომელსაც მუგნია არაოდეს არ ეღირსება საკუ-
თარი შენობა და კლასის მომარტება. თითონ ეს სკოლა
არა სანატრელ მდგომარებაშია. მისი წარსული მანინ
სრულად უფერული იყო, თუმცა ახლა კარგი ბუგითი

მასწავლებელი ჰყავს, მკვრამ რას გაწეობს ერთი კაცი?
სკოლათა მისი მხრის მიღება და დახმარება. — მისი უფროსის
წდას წინათ ერთ ურდობასზე იმისთანა ვაუბარობებიც
აღმოჩნდნენ, რომ სკოლის დახურვაც მოიწადინეს. — თუ თუ
არ შეუძლია სურამელებს ერთი რიგთან სკოლის შენახვა
და საკუთარი მუგნისი გაკეთება, რომელიც თითონ მათ
მოუტანს კეთილ საუთოს? იკითხვის გაკვირვებული შეი-
თხებელი. როგორ არა, ბატონებო, შეუძლიან და კარგავე
შეუძლია მკვრამ მამაზე შემდეგება: სურამში ცხოვრობენ
ქართველები 300 კომლი, სომხები და ებრაელები 400
კომლი, სულ 700 კომლია, მკვრამ ხალხის სიმრავლე
რას იხმამ, თუ ერთი მეორეს არ მისცემენ მძურთა ხელს
და ერთი გრძნობით არ მიეკებებიან უფლად საკეთილო და
წესებულებას. ქართველი ცალკე იწვეს და ებრაელი ცალკე
(ებრაელებს და სომხებს თავისი საკუთარი სამრეკლო სკო-
ლა აქვთ). დაახ ჩვენი აზრით ტამობრევი სხვად სხვაობა
უფრო აფერხებს შეკრებებს და უფლად საზოგადო საქმის
წინ სვლას. აქ უფლად თავის საკუთარ ინტერესს გაუტაცნა
და ჩაუთრევათ თავის ტალღებში. აქ არ ღლეს საკუთო
გრძნობა საქმისადმი, როგორც დასავლეთ საქართველოში.

ხუთი წელიწადი იქნება ამ დაბაშევე არსებობს უფა-
სი წინასიტყვა — სამკითხველო, რომლის სიძირველიც
ჩაგვარა აქ განსხვებულმა ად. რიბასშვილმა და ზოგი-
ერთ მჭურ ინტელიგენტებმა. როგორ მიეკება ამ დაწე-
სებულებას სურამის მკვდარი? რა დახმარება აღმოჩინ-
ნეს? არაფერი!.. რა მდგომარეობაშია დღეს სამკითხვე-
ლო? ვერაფერს სანატრელი! სურველობის ამ დაწესებუ-
ლების წყალობით რამეს სურამელი? არაფერს, კარდა იმი-
სა რომ წიგნები წაიღეს მინ და არაფერს ამოერჩიეს. ხო-
ლო საწერო ფულის (25 კ. თვეში) შემოტანს ხომ
იშვითათ? ვიდრე ზატობისანი და უხვარო კაცი ი. მეს-
ხი განაგებდა სამკითხველოს, ზოგს არცხვენდა,
ზოგს ძალით და ზოგს ნებით ართმევედა ხვედრ ფულს,
მკვრამ ჩვენად საუბედროთა ეს კაცი სამსახურისაგამო
ქუთაისში გადაიყვანეს... ადვილათ შეიძლება ერთ შეე-
ნიერ დღეს სურამელებმა — ეს კეთილი დაწესებულება
მაბარონ სოფლავს და თითონ კი ქველხით შეზარხაშე-
ბულებმა შემოსისონ: „ესამ სადღევრდელის, და გაუ-
მარჯოს ჩვენ საქართველოს“ — ი. ბუგნი საკეთილო საქ-
მის გაკეთება შეუძლიათ სოფლის — მამასხლდისს. ბუგნი
მათგანს ჰგონათ მხოლოთ ადმინისტრატული წესის შეს-
რულებით თავსებდეს მათი მოვალეობა. მათ საზოგა-
დოებაში მინაშა ეს მადალი სახელი „მამასხლდისი“ და
მამასხლდამ საზოგადო კეთილდღეობისთვისაც უნდა ზრუ-
ნავდენ. ჩვენ უფსურვეთ სურამის ახლ მამასხლდისს —
საზოგადო საქართვეობისთვის მიუხედავს და მათი განკარ-
გულებისთვის ეზრუნოს.


„ლობის შიილი.“

საფ. კულაშა. (ჭუთაისის მხრს). ვინც კი კითხულობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს შეამჩნევდა, შეტყუვლია, რომ იშვიათი მოვლენა ამ სოფლიდან რაიმე ცნობები იყოს. კაცის დაჭრა, ცემის ტყეპა და სხვა ამგვარი აქ ერთბაშე ხშირია; დღე არ გავა ისე რომ ვინმე არ ააწიოთინ უდანაშაულოთ; ქურდობა ხომ სისხნელოთ მიახნიათ. გასულ წელს ოქტომბერში, როცა მთელი წლის სარჩო საბადებელი მიხდებოდა უნდა მოეზიდა მუშა, ე.—ლე ს—ას., ხელიდან გამოაგაღეს უღელი ხარები და ასე ზირში წაღა გამოვლეთული დატოვეს სავალი მუშა. მეთრე მავალით ამ წლის მარტში მოხდა. დ. კ. სტურუს მოქმადრეს უღლით ხარები, სწორეთ იმ დროს, როცა უნდა შედგომოდა მთელი წლის საზრდოს დამუშავებას. წვრილმან ქურბადრეობას ხომ ახარებია არა აქვს. აღდგომა ახალ-კვირის შუა, სეთობათს, „მოთვარ-ანგელოზობის დღეს მოქალაქე ერთმა განებოვრებულმა კავ-ბრტონ-

ობრეთი მხრით ზირველი ალაგი უჭირავს ქუთაისის მხრამით. და გან ეს რა ზირველობაა, როცა მოქალაქე მისი-ზდრობას, უწესობას და ბორბობას ხელავს აღმიათ. დროა უურადღობა მიაქციოს ვისაც ვერ არს, და ალაგმოს ეს ალერ წახსნილი მკლავებები, თორემ თქვენი მტრია, არ განებოვრება ამ სოფელში. დანასრულ არ შემიძლია, არ ვუსაუბრებო აქურ ინტელიგენციას, რომელიც ასე გულგრილით უნდებია თავის გარშემო მომხდარ მოვლენებს.

გ კულაშელი.

შემოქმედი (გურია). თბ წელზე მეტი იქნება, რაც ამ სოფელში მასწავლებლის ბ. ფ. მკელაძის შრომით დაარსდა (წიგნო-საცავი *), საშუალოთ ამ ნამდვილი მხნე აღმიათის წახლდის შემდეგ საშუალოთ აღმარ-ეინ აქციეს უურადღობას. სხვა რომ უოველით კარგით მოწყოლილი იყოს, მარტო ქარის მოსუენარი ზეზუნე



იაპონიის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.


მა ორი ახალ-გაზდა ემაწვილი რეგოლეკრით. რომელიც ახლაც თავისუფალი დანკიარბის და საქმე გამოძიებულის უურამდასაც კი არ მისულა. ამ მიმდინარე მასის ხეთობა, თითქმის არა ნაკლები უბედურება დატრიალდა იმ სოფელში. დ. კ.—ღამს მოიტაცა ვ. ს.—ას ქალი —ღობა, რაც ჩქარა გაიკეთა ქალის მოშობელებს და დაეღვენენ უკან. გაბორბებულმა დ. კ.—ღამს: ორი ტყეპა მიაგადა მღვევრთ, მაგრამ საბედ-ნიერთ ტყეპა აგდა და არავინ უმისხვერღობა. დიდ უსიამოვნობას და ორჯულ ერთმანეთთან შეკახებას შემდეგ საქმე ვერის წერამდის მიდგა. უმეტეს ნაწილით იკომოსენებულ და ათას სხვა ამ გვარ შუქ-სობის მიხეზი არის აქურა თავად ახსნურობა. სწორეთა ესენი არან მიხეზი ამ ვუბატონების თავისუფლით თარქობისა. რომ ჭითხოთ აქაქრ მცხოვრების ასე გაბასებებს: „კულაშის საზოგადოებას“ ყნე-

მისი შენობის და კედლებში ეველა მკითხველს აფრთხობს. კარები ღია არის დღითი და ღამით, ალბათ იმის საცნაურათ, რასაკვირველია, რომ შიგ მანჩ არაფერი არისო. წიგნს ერთსაც ვერ ნახეთ ხეირანის ჩვენ წიგნო-საცავში, რომელიც კი თუ ვიღაცებს წადებულ იქნეთ. გაზეთებს მუდამ ისეთი აქურენ, რომელსაც თუკი კითხულობენ, უმცირესობა. მხოლოთ მკითხველთა. უმრავლესობას ჩვენი გამოწერილი გაზეთები საზოგადოთ ვერ იზიდავდა და რაც თუ ისიც კი გაქტილდაო საშუალოთ აღმარ-დან. უკანასკნელ წელიწადმა ისე გაიარა, რომ ერთხელ თუ შეხვადლით მშობნე კი იშვიათოთ ნახვლით სტოლზე ახალ ნომერს გაყობისას. ამასთან რაც წიგნები არის ჩვენ „სახალხო“ წოდებულ ბიბლიოთეკაში, იმის მიმწოდებელიც არავინ ჭეკეს ხალხს. ბიბლიოთეკარი კარგა

*) თავ. კ. გურიელმა და ბ. თ. ჩხატარაიშვილმა მოაზრობიდან ამის ნებაბრთვა აიღეს.

ხანა ადარ გუგუეს, გამგუთ არჩუელი მღვ. ს. ჩხატა-
რაიშვილი სრულიად არავითარ უურადღეას არ აქ-
ცუეს! უასი მახუთა მანგ უაუთად უაუგულ წლიურათ
იერაფებოდა სსმეთხეუელის სსსარგებლოთ, ვის რა-

პის ცივილიზაციისათვის. „დიდი მუშტის“ მოაქ-
რობა არ არის ერთი რომელიმე სექტორის მოძრაობა,
ეს უფრო სახალხო, საერო მოძრაობაა. ძველი
ჩინეთი მთელი თავისი სიძლიერით ამ მოძრაობაში



ჩინეთის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.


შე ხარჯავდა ამდენ ფულს, არ ვიცი. ასე რომ არც
ბიბლიათეკის თანამგრძობელა და არც მასწავლებელთ
არა გუგუეს ჩვენ დღეს:

წინ წამოღვა და ევროპელთან ერთათ ახალ ჩი-
ნეთსაც ვმუქრება. ჩინეთის ვაზეთები, პროკლამა-
ციები და სხვა დაბეჭდილი ფურცლები ერთიანათ
მიმართულია ევროპის წინააღმდეგ. იმ თარგმანი ერთი
გალექსილი პრაკლამაციის, რომელიც „დიდ მუშტს“
ქალაქებში და სოფლებში გაუფრცვლებია: „ღმერ-
თები ეხმარებიან „დიდ მუშტს“; ამ პატრიოტულ

ჩინეთის ამბები

ჩინეთის ამბები თანდათან საყურადღებო
ხდება. როგორც
ჩანს ამ უძველეს
სახელმწიფოს გა-
დაუწყვეტია ევ-
როპას ზურგი სა-
მუდამოთ შეეჭ-
ციოს და ევრო-
პიელნიშთაის სა-
ზღვრებიდან განა-
ძევოს. ეს ერთი
უშესანიშნავესი მა-
გალითია მთელ
მსოფლიო ისტორიაში.
ჯერ არ-
სად, არასოდეს
ასეთი წინააღმდე-
გობა არ გამოუ-
ცხადებიათ ევრო-

და პარზონიულ
ჯარს, და ეს იმი-
ტომ რომ უხსოვ-
თარ ეშმაკები ცათა
ქვეყანას (ჩინეთს)
აწუხებენ. ესენი
ძალას ატანენ ხა-
ლხს მათი სარწ-
მუნოება მიიღოს,
კას ზურგი მიუ-
ბრუნოს, ღმერ-
თებს პატივი არ
სცენ და წინაპარნი
დღიეიწონ. მამა-
კაცები არღვევენ
ადამიანურ მოვა-
ლეობას; დედა-კა-
ციები ქმრებს ლა-



სპარსეთის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.

